ანტირეკლამით საუკეთესო რეკლამა კეთდება...

არანაირი მარიხუანა არ მქონია...

უცხოეთში, ამერიკისა თუ ევროპის ქვეყნებში ცნობილი მსახიობების, მუსიკოსების თუ მომღერლების დანაშაულებრივი ქმედებებით ვერავის გააკვირვებთ. საინფორმაციო საშუალებები, პრესა აჭრელებულია ამა თუ იმ ვარსკვლავზე სკანდალური ინფორმაციებით — რას აღარ სჩადიან ვარსკვლავები — ჩხუბობენ, ცივსა თუ ცეცხლსასროლ იარაღს იყენებენ, ნარკოტიკებს ხმარობენ ან ინახავენ. ჩვენთან რომელიმე ჩვენს ცნობილ თანამემამულეზე მსგავსი ინფორმაციის გაგება მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავს. 12 ივლისს გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ცნობილ მუსიკოსსა და კომპოზიტორს რომა რცხილაძეს თურმე 54 გრამი მარიხუანა აღმოუჩინა გორის პოლიციამ, რის გამოც იგი დააკავეს. მოგვიანებით კი, ვითომ თავდებით გამოუშვეს. 13 ივლისს ბატონ რომას კონცერტის გამართვის წინ ტელეფონით ვესაუბრეთ. მან ბრალდებები უარყო და განაცხადა, რომ გავრცელებული ინფორმაცია ვიღაცის მიერ შეთითხნილ პროვოკაციებს ეფუძნება.

— როგორც ჩანს, ქვეყანაში მართლაც ცუდადაა საქმე. ყველაფერი შეიძლება დაგაბრალონ, რაიხსტაგზე ქანთარიას მიერ ატანილი დროშის ტარის მომტვრევა ან ბომბეიმდე გვირაბის გაყვანაც კი. რაც მოხდა, ჩემთვის იმდენად აბსურდულია, რომ ამ თემაზე საუბარიც კი მიჭირს. არანაირი ნარკოტიკი არ მქონია. არც არავისთვის არაფერი გადამიხდია... გული მწყდება, რომ საინფორმაციო საშუალებებმა არაფრის გამო, ჩემს უკითხავად ჩემი რეპუტაციის შემლახავი ინფორმაციით ამხელა აურზაური ატეხეს. ეკითხათ, იქნებ მეც მაძლევდა ხელს ეს ყოველივე?! იქნებ ეს სულ ჩემი რეკლამაა — უცხოეთში ანტირეკლამით საუკეთესო რეკლამას აკეთებენ.

ბატონი რომა შეშფოთებულია მომხდარით. მას სჯერა, რომ ეს ყველაფერი ვიღაცის ინსცენირებულია, მაგრამ ვისი, წარმოდგენაც არა აქვს. საპასუხო საპროტესტო ნაბიჯისგან ჯერ თავს იკავებს. როგორც მან განაცხადა, — ჯერჯერობით, ყველაფერზე პასუხს კვლავ თავისი შემოქმედებით გასცემს.

ეთერში მალე „კოტესტროფა" იქნება



„მეცხრე არხის" ერთ-ერთ პოპულარულ გადაცემად იქცა „საუბრები სტუდიაში", სადაც მაყურებელს გადაცემის ავტორთან და წამყვანთან, გია მაჩაბელთან ერთად, ხშირად ეძლევა საშუალება, რომ ცნობილსა და კოლორიტულ პიროვნებებს შეხვდეს ტელეეკრანზე. ახლახან თანამედროვე ცნობილ ახალგაზრდა მწერალთან აკა მორჩილაძესთან შეხვედრის თაობაზე ჩვენი გაზეთიდანაც გაქვთ ბატონ გიას უახლოეს მომავალშიც ბევრი საინტერესო სტუმარი ეყოლება. ჩვენ შევხვდით მას და პოეტ კოტე ყუბანეიშვილზე ვესაუბრეთ „კოტესტროფას" უახლოეს მომავალში იხილავთ ეთერში.

— **ბატონო გია, მაინცდამაინც კოტეზე რატომ შეაჩერეთ ყურადღება?**

— დიდი ხანია მას ვიცნობ. ჩემი სტუდენტი იყო, უმაღლეს სასწავლებელში, ფიზიკის ფაკულტეტზე. პროფესიით კოტეც ჩემსავით ფიზიკოსია, ისევე, როგორც მე. სამწუხაროდ, ყმაწვილკაცობაში ცხოვრება აერია. ტრაგედია დაატყდა თავს — ციხეში მოხვდა.

— **თუმცა არა მგონია, ის ტრაგედიად აღიქვამდეს ამას. მახსოვს მისი სიტყვები ერთ-ერთ ინტერვიუში, რომ რადგან „უხერხულ-დებილურ სიტუაციებს ვერ იტანს და სიჩუმეს ვერ ეგუება, ამიტომაც შევიდა ციხეში...**

— კოტე ყოველთვის ორიგინალური და არაორდინარულია.

— **მიუხედავად ამისა, ან იქნებ ამიტომაც, იგი ბევრს არ მოსწონს, უფრო მეტიც, აღიზიანებს კიდეც.**

— მოსწონს თუ არა ვინმეს, ფაქტია, რომ ის ყოველთვის ზეგავლენას ახდენდა სხვებზე. ამას ალბათ მისმა ციხეში ყოფნამაც შეუწყო ხელი. კოტე იმ დროში ცხოვრობდა, როცა ნაციხარს მონიწებით ეპყრობოდა ქუჩა. ალბათ, იმიტომ, რომ ციხეში მძიმე პირობებგამოვლილი კაცი სხვანაირია.

— **კოტეს ცხოვრება „ნაციხრებისთვის" ცოტა უჩვეულოდ წარიმართა...**

— ალბათ... ჯერ მასწავლებლობდა, მერე ფილოსოფოსობას მოჰკიდა ხელი და ბოლოს, ლექსების წერას, რითაც პოპულარული გახდა. ვფიქრობ, მისი პიროვნული ევოლუციაც ამის შემდეგ დაიწყო. ამიტომაც, საინტერესოა ჩემთვის როგორც ის, ისე მისი პოეზიის განვითარების პროცესი.

— **როგორც ვიცი, მას ძალიან უყვარს ლადო ასათიანი, გალაკტიონზე ამბობს, „მასში ბევრი რაღაც ჩემიანია და აბსოლუტურად მესმის მისიო".**

— ის პოეზიას ძირითადად უტილიტარული თვალსაზრისით უყურებს. ამბობს, რომ პოეზია უნდა იყოს გამოყენებადი, ლოზუნგის სახით ან სხვა ისეთი ფორმით, რაც სულ „იფრენს". ვუთხარი, ასეთი დამოკიდებულება ლექსის მიმართ სახიფათოა პიროვნებისათვის. მაიაკოვსკიც ამ აზრზე იდგა, მაგრამ ის დიდი პოეზიიდან მივიდა ლოზუნგებამდე და ბოლშევიკების სამსახურშიც ჩადგა, შემდეგ კი, თავი მოიკლა, ან შეიძლება მოკლეს... მისთვის პოეზიაში ამგვარი ცვლილება ტრაგედია იყო. თუმცა, კოტე ამას არ უფრთხის.

— **ბევრისთვის კოტე თავის თავზე შეყვარებული კაცის შთაბეჭდილებას ტოვებს, ერთგან ამბობს კიდეც — „სიყვარული საკუთარი თავისთვის პატივისცემას ნიშნავსო". თქვენ რა შეატყვეთ?**

— ალბათ ეგეც არის და ამიტომაც საკუთარ ნაკლზე როცა ლაპარაკობს, სწორედ მაგ თვისებას აღნიშნავს ნაკლად.

ეკა ლომიძე

ფრთხილად!

რეკლამას ზოგჯერ შეუძლია

გააფუჭოს თქვენი ... რაც თქვენ

რეკლამა „კვირის პალიტრაში" 33-78-07

„პერესტროიკამ" სულზე მოგვისწრო და გვეშველა...

უდიპლომო კომპოზიტორ გია მაჭარაშვილს სწორედ მაშინ ვესტუმრე, როცა მერაბ სეფაშვილთან ერთად ახალ სიმღერაზე მუშაობდა. მათი მეგობრობა და თანამშრომლობა 25 წლის წინ, ტელევიზიის როკ-ჯგუფში დაიწყო.

— **გია, როგორ დაიწყო ყველაფერი?**

— ქარხნის კლუბში შედგა ჩემი დებიუტი. მერე უნივერსიტეტის ანსამბლში მოვხვდი აჩი მეფარიძესთან და უფროს ქეთი თოფურიასთან ერთად, შემდეგ ვმღეროდი ანსამბლ „კოლხეთში". 1981 წელს კი, ბედმა გამიღიმა და ტელევიზიის როკ-ჯგუფში აღმოვჩნდი, სადაც დამხვდნენ მერაბი, ზურა კობეშავიძე და მიშიკო ფოფხაძე. ჩემს შემდეგ მოვიდა თემურ ნიკოლაიშვილი. ნამდვილ წარმატებას კი 1985-1986 წლებში მივაღწიეთ.

— **წელან მიშიკო ფოფხაძე ახსენეთ... ყველას ახსოვს მასთან დაკავშირებული, მაშინ თითქმის სკანდალად ქცეული ამბავი...**

მერაბი: ჰო, 1983 წელს ტელევიზიის როკ-ჯგუფი, — „თეატრონი" პარიზში საერთაშორისო მუსიკალურ ფესტივალში იღებდა მონაწილეობას. ჩასვლიდან სამ დღეში მიშიკო ფოფხაძე გაიპარა და საფრანგეთში დარჩა. იმ დროს ერთი ნუგზარ შარია იყო ქართველი, ვინც უცხოეთში დარჩა, მეორე კი — მიშა. დიდი სკანდალი ატყდა. დაგვიბარეს „კაგებეში". ორი წელი აღარსად გაგვიშვეს. „პერესტროიკამ" სულზე მოგვისწრო და გვეშველა.

— **ალბათ, საბჭოთა ეპოქაში თქვენთვისაც მძიმე იყო ცხოვრება. ბევრ რამეში იზღუდებოდით?**

მერაბი: რაღაც-რაღაცებით კი, სიმღერის ტექსტები მკაცრ ცენზურას გადიოდა. თითოეულ სიტყვას ზომავდნენ. ნებისმიერი თემა რეგლამენტირებული იყო.

— **რა თქმა უნდა, სიტყვა „სექსს" ვერსად ახსენებდით...**

მერაბი: რა თქმა უნდა, მაგრამ მაინც ვახერხებდით რაღაც-რაღაცების გადმოცემას გადატანითი მნიშვნელობით...

— **მატერიალურად რამდენად უზრუნველყოფილი იყავით?**

მერაბი: შეიძლება თამამად ვთქვათ, რომ პროფესორის ხელფასები გვქონდა, — 500 მანეთამდე.

გია: ჩემი სიმღერები სად აღარ ტრიალებს. უცხოეთში რომ ვიყო, უმდიდრესი კაცი ვიქნები, აქ ფულს ყველას ვერ გამოვართმევ. ... მერაბთან 25 წელია ვმუშაობ, ვმეგობრობ და ყოველთვის იმაზე ვფიქრობ, ახალი რა მივაწოდო. აქ ფულზე შეიძლება ლაპარაკი?

— **ე.ი. თქვენ მისი საკუთარი კომპოზიტორი ხართ და ისიც თქვენი მომღერალია?**

გია: ვიცი მისი დიაპაზონი და რასაც მერაბისთვის ვწერ, სხვისთვის ვერ დავწერ. ჯერ არ ყოფილა, რომ მერაბს ჩემს შერჩეულ სიმღერაზე ეთქვას, კარგია, მაგრამ მე ვერ შევძლებ მის შესრულებასო. მერაბი, რა დონის კონცერტიც არ უნდა იყოს, „ცოცხლად" ასრულებს სიმღერას.

— **თქვენც ფონოგრამის მტერი ხართ?**

გია: წელიწადში შეიძლება ერთხელ მომიწიოს სიმღერა და მაშინაც „ცოცხლად" ვასრულებ... ორჯერ ვიმღერე ფონოგრამის თანხლებით და საშინელ დღეში ჩავვარდი: ერთხელ შუქი ჩაქრა, მეორედ კი, აპარატურა მოიშალა. ჩანაწერი აჩქარდა და მეც ავაჩქარე ტუჩების მოძრაობა, მაგრამ ჩანაწერი რომ აწრიპინდა, მაშინ კი, ჭირის ოფლმა დამასხა. ვიღაცებმა იფიქრეს ჩანაწერებით ფულის გაკეთება და ყველამ სცენაზე მოინდომა გამოსვლა...

როდესაც გია მეგობარზე ლაპარაკობდა, მერაბი ოთახში არ იყო, მოგვიანებით შემოვიდა. ვუთხარი, გიამ „გაგქორა"-მეთქი. გაიცინა და მითხრა — არ მჯერაო.

გია: მერაბი ძალიან მიყვარს და ვამბობ ამას. სხვათა შორის, კაცს რომ ეს უთხრა სულაც არ ნიშნავს „ცისფერობას". დღეს ბევრი ცუდი გვჭირს, სიყვარულის გამჟღავნების გვრცხვენია. როცა გიყვარს ქალია თუ კაცი, უნდა გამოხატო კიდეც ეს სიყვარული... უსიყვარულოდ რომ ვცხოვრობთ, იმიტომაც „გვილხინს".

— **მერაბ, ვფიქრობ, ბოლო ხანებში საკმაოდ შეიცვალეთ. იმიჯში სიყმაწვილის, ბავშვობის მონატრება დაგეტყოთ.**

მერაბი: შესაძლოა, ახალმა რეპერტუარმა გამოიწვია ასეთი განწყობა ჩემს მიმართ.

გია: ბოლო პერიოდში სულ ჩემთანაა და ჩემი შვილების სათამაშოებს რომ უცქერის, ეტყობა ბავშვობა ახსენდება.

— **მერაბ, წელან მიშიკო ფოფხაძის უცხოეთში დარჩენაზე ვსაუბრობდით, ისე, თქვენს ცხოვრებაშიც ხომ იყო რაღაც მსგავსი?**

მერაბი: მაგრამ არა ჩემი სურვილით. დანიაში გვქონდა კონცერტი. იქიდან პოლონეთში ჩამოვედით, საიდანაც მატარებლით მოსკოვში უნდა წამოვსულიყავით. მოულოდნელად დავკარგე ყველაფერი, — პასპორტი, ბილეთი, ფული. მოსკოვის მატარებლის გამცილებელს ვეხვეწე და ვემუდარე, წამოვეყვანე „არალეგალურად" და როგორც იქნა, დავითანხმე, თორემ პოლონეთში მომიწევდა დარჩენა.

— **ეს ალბათ ერთადერთი ხიფათი იყო თქვენს ცხოვრებაში.**

მერაბი: თუ არ ჩავთვლით უამრავ ავარიას ავტომანქანით... ნახეთ როგორ „დავმახინჯდი", — ცხვირი გავიტეხე, მთელი სხეული დაჩეხილი და ნაიარევი მაქვს. ადრე ძალიან სიმპათიური ვიყავი (იცინის), მაგრამ რომ დავლევდი, საჭესთან მეძინებოდა და ავარიაც გარდაუვალი იყო. ახლა ყველაფერი კარგადაა, ან დავბერდი, ან კიდევ მართლა ბავშვობისკენ წავედი.

— **მერაბ, უკვე ვიცი რას ფიქრობს გია თქვენზე. თქვენ რას ფიქრობთ მასზე, გაგვიმხელთ?**

მერაბი: პიროვნულად ძალიან მიყვარს და თუ მასზე ვიტყვი, რომ რაფინირებული და ჩამოყალიბებული მუსიკოსია, არაობიექტურობას ვერავინ დამწამებს. გული მწყდება, ხშირად არანაირებითაა დაკავებული, რასაც შემოსავლის გამო აკეთებს. გამუდმებით თავის საქმისთვის ვერ იცლის...

ეკა ლომიძე